



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი
საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური
გამოყენებითი მათემატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი

01.08.2022

დასკვნის წარდგენის თარიღი

31.08.2022

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	205224700
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	გამოყენებითი მათემატიკა
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	მათემატიკის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0541 მათემატიკა
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	0541 მათემატიკა
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	სასწავლო კომპონენტი - 60 კრედიტი
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	პროგრამას აკრედიტაციის ვადა გაუვიდა 2022 წლის 18 მაისს. N65, 18/05/2018

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დიანა მჭედლიშვილი, კავკასიის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი დალაქიშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიგა ხოსიტაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ჯახველაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება 2018 წლიდან საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2018 წლის 18 მაისის №65, გადაწყვეტილების საფუძველზე.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოყენებითი მათემატიკის მიმართულებით პროგრამების განხორციელების გამოცდილება გააჩნია. აღნიშნულ პროგრამამდე სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა “მათემატიკური მოდელირებისა და კომპიუტერული მეცნიერების” სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც აკრედიტებული იყო 2013 წლიდან. 2018 წელს იგი დაიყო - „გამოყენებითი მათემატიკისა“ და „კომპიუტერული მეცნიერებების“ სადოქტორო პროგრამებად.

2019 წლის ივლისამდე პროგრამა ხორციელდებოდა მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 19 ივლისის №152/ნ ბრძანების შესაბამისად უნივერსიტეტში განხორციელდა რეორგანიზაცია - გაერთიანებულ იქნა მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტი. ამჟამად პროგრამა ხორციელდება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტზე.

წარმოდგენილ „გამოყენებითი მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში სასწავლო კომპონენტის კრედიტების რაოდენობაა - 60 კრედიტი, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობა - არანაკლებ 3 წელი.

პროგრამას ახორციელებს მაღალკვალიფიციური, გამოცდილი, დარგში ცნობილი აკადემიური პერსონალი, რომელთაც აქვთ აქტუალური და თანამედროვე სამეცნიერო მიღწევები.

პროგრამას აკრედიტაციის ვადა გაუვიდა 2022 წლის 18 მაისს, რის შემდეგაც პროგრამაზე აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს შეუჩერდათ სტატუსი.

▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2022 წლის 14 ივლისის №803125 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის „გამოყენებითი მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. დაწესებულებაში ვიზიტი განხორციელდა 2022 წლის 1 აგვისტოს. ვიზიტი განხორციელდა მშვიდ, საქმიან და კოლეგიურ ფორმატში.

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და მასთან თანდართული დოკუმენტაცია. დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა 4 დაცული დისერტაცია. ექსპერტთა ჯგუფის მიერ იქნა გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტაცია, რაც უნივერსიტეტმა შეუფერხებლად წარმოადგინა.

დაწესებულისგან მიღებული არგუმენტირებული პასუხის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფმა 2.4 პუნქტში განსაზღვრული რეკომენდაცია - „რეკომენდებულია, დაწესებულებამ განახორციელოს დისერტაციების გაფორმების საერთო წესის პრაქტიკაში დანერგვის მონიტორინგი, რათა დაცული იყოს დისერტაციების ერთიანი ფორმატი“ - გადაიტანა რჩევად.

• საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

ექსპერტთა ჯგუფის მიერ „გამოყენებითი მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებით შეფასდა შემდეგნაირად:

სტანდარტი 1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

1.2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.1 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.2 – შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.3 – შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.4 – მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.5 – შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

2.6 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 3 – შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.1 – შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

3.2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 4 – მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1 – მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.3 – მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.4 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

სტანდარტი 5 – მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1 – მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.2 – შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.3 - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

▪ რეკომენდაციები

2.4

- რეკომენდებულია, დოქტორანტს დაცვაზე გასვლის ერთ-ერთ წინაპირობად სავალდებულო სახით განესაზღვროს დარგის შესაბამისი იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნება.

4.1

- რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პირებმა უზრუნველყონ პროგრამის შეუფერხებელი განხორციელება, რათა მაქსიმალურად იქნას დაცული დოქტორანტების სწავლისა და კვლევების წარმოების უწყვეტობა.

4.3

- რეკომენდებულია, ბიბლიოთეკის ვებ-სივრცის განახლება იმგვარად, რომ არსებულ სამეცნიერო ბაზებთან შესაძლებელი იყოს წვდომა როგორც უნივერსიტეტის შენობიდან, ისე მის მიღმა.
- რეკომენდებულია, სადოქტორო პროგრამის მიმართულების მიხედვით რელევანტურ სამეცნიერო ბაზებზე წვდომის უფლების მოპოვება იმისათვის, რომ დარგში არსებული უახლესი სამეცნიერო პუბლიკაციები ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის.
- რეკომენდებულია, ბიბლიოთეკა აქტიურად ჩაერთოს ტრენინგების (ინფორმაციის მოძიება; წყაროების სანდოობის შეფასება; აკადემიური სტილის საკითხები) მომზადების და შეთავაზების მიმართულებით, როგორც სტუდენტებთან, ასევე, აკადემიურ პერსონალთან.

4.4

- რეკომენდებულია, პროგრამის (და ფაკულტეტის) ბიუჯეტის შემუშავების დროს სამეცნიერო ლიტერატურის (როგორც წიგნები, ასევე სამეცნიერო ჟურნალები) მუხლით გათვალისწინებული ხარჯები გაიზარდოს და შესაბამისობაში მოვიდეს არსებულ საჭიროებებთან.

5.1

- რეკომენდებულია, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფმა აქტიურად აწარმოოს პროგრამის ვადების მონიტორინგი, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადების კუთხით, რათა პროგრამაზე სწავლების უწყვეტობა იქნას შენარჩუნებული.

5.3

- რეკომენდებულია, პროგრამის განხორციელების ეტაპზე ხდებოდეს სტუდენტების მიერ კონკრეტული სასწავლო კურსების შეფასება ყოველ სემესტრში, ასევე, პროგრამის შეფასება და აღნიშნული შედეგების გათვალისწინება.
- რეკომენდებულია, უცხოური ანალოგების მოძიება და პროგრამის დადარება, მიუხედავად მისი უნიკალურობისა.

▪ **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

1.2

- სასურველია, მეტი კომუნიკაცია სტუდენტებთან პროგრამის განვითარებაში ჩართვის მოტივაციის გაზრდის მიზნით.

2.3

- სასურველია, „სასწავლო/სამეცნიერო კომპონენტისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა“ მკაფიოდ განსაზღვრავდეს პროგრამის სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დონეს კონკრეტული სტუდენტის მზაობის დონისგან დამოუკიდებლად.
- სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა გუნდმა გადახედოს სასწავლო კურსის „აკადემიური წერა/სადისერტაციო/სამეცნიერო ნაშრომის მომზადება“ კრედიტების და, შესაბამისად, საკონტაქტო საათების მოცულობას, რათა დოქტორანტებს მიეცეთ შესაძლებლობა სრულფასოვნად შეისწავლონ სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკითხები, განსაკუთრებით კი იმ დოქტორანტებს, ვისაც კვლევის გამოცდილება არა აქვს.

2.4

- სასურველია, დისერტაცია, როგორც ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კვლევითი კომპონენტი, შესრულდეს მხოლოდ პროგრამის სწავლების ენაზე.
- სასურველია, დაწესებულებამ განახორციელოს დისერტაციების გაფორმების საერთო წესის პრაქტიკაში დანერგვის მონიტორინგი, რათა დაცული იყოს დისერტაციების ერთიანი ფორმატი.

3.1

- სასურველია, ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის დამკვიდრებული იყოს ეფექტური კომუნიკაცია საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით.

3.2

- სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს რჩევა დისერტაციის გაფორმებისა და შეფასების წესის დახვეწასა და პრაქტიკაში დანერგვის მონიტორინგის შესახებ.

4.2

- სასურველია, სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო დაფინანსების მიღების/გაცემის პროცედურები გახდეს მეტად უნიფიცირებული.

4.3

- სასურველია, სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა, ერთეულ ასლად, ნაბეჭდი ფორმით, ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

5.1

- სასურველია, სტუდენტთა მიერ სასწავლო პროგრამის შეფასების ინსტრუმენტის პრაქტიკაში დანერგვა მიუხედავად მათი რაოდენობისა.
- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ბოლო ორი ეტაპის „შეამოწმე, განავითარე“ ეფექტურად და აქტიურად განხორციელდეს.

5.2

- სასურველია, პროგრამის აკრედიტაციის დროს მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება, მათი განმავითარებელი ფუნქციიდან გამომდინარე.

5.3

- სასურველია, პროგრამის გარე ექსპერტის შეფასება ხორციელდებოდეს წინასწარ დაგეგმილი პერიოდულობით, საანგარიშო ვადის ამოწურვამდე, რათა ცვლილების განხორციელებისთვის რჩებოდეს ლოგიკური ვადა.

▪ საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

1. სადოქტორო პროგრამა შინაარსობრივად ძლიერია, კონცენტრირებულია გამოყენებითი მათემატიკის აქტუალურ საკითხებზე.
2. სადოქტორო პროგრამას ახორციელებს მაღალკვალიფიციური და გამოცდილი პერსონალი, ვინც ცნობილი არიან დარგში და აქვთ აქტუალური თანამედროვე მიღწევები.
3. სადოქტორო პროგრამას ჰყავს დარგში დამკვიდრებული კურსდამთავრებულები, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას.
4. უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გამოხატავს სრულ მხარდაჭერას სადოქტორო პროგრამის განვითარება-განხორციელების მხრივ, მათ შორის ფინანსური კუთხით.
5. დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა პროგრამის შემუშავების, განვითარების და განხორციელების ყველა ეტაპზე.

▪ ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

საანგარიშო პერიოდში „გამოყენებითი მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაში შეიცვალა პროგრამის კრედიტების საერთო მოცულობა. კერძოდ, კრედიტებში დაანგარიშებულია მხოლოდ სასწავლო კომპონენტი, რომელიც შეადგენს 60 ECTS კრედიტს, ხოლო პროგრამის ხანგრძლივობად განისაზღვრა არანაკლებ 3 წელი.

საანგარიშო პერიოდში პროგრამაში განხორციელდა რიგი ცვლილებები. კერძოდ:

1. პროგრამაზე მიღების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენა - B2 დონე.
2. სავალდებულო სასწავლო კურსებს დაემატა - „გამოთვლითი მათემატიკის სპეციალური საკითხები/რეალიზაცია MatLab - ში/“.
3. სასწავლო კურსი „მათემატიკური მოდელები სოციალურ მეცნიერებებში“ გადატანილ იქნა არჩევით კომპონენტში.
4. გამრავალფეროვნდა არჩევითი კომპონენტი, კერძოდ დამატებულ იქნა:
 - კონფლიქტოლოგიის არაწრფივი მათემატიკური მოდელები - 6 კრედიტი;
 - განზოგადოებული ფუნქციათა თეორია და მისი გამოყენება მათემატიკური ფიზიკის ამოცანებში - 6 კრედიტი;
 - დრეკადობისა და ელექტრო-მაგნეტო-დრეკადობის თეორიის შერეული, ბზარისა და ტრანსმისიის დინამიკისა და ფსევდო რხევის ამოცანები - 6 კრედიტი;
 - ოპერატორთა თეორია და მისი გამოყენება ზოგიერთ ელიფსურ სასაზღვრო ამოცანაში - 6 კრედიტი;
 - რიცხვითი მეთოდები კერძოწარმოებულებიანი დიფერენციალური განტოლებისათვის - 6 კრედიტი;
 - დრეკადობის ბრტყელი თეორიის ძირითადი სასაზღვრო ამოცანები ფოროვანი სხეულებისათვის - 6 კრედიტი;
 - ი. ვეკუას დაზუსტებული თეორია გარსებისთვის - 6 კრედიტი;
 - უწყვეტ გარემოთა მექანიკის მათემატიკური მოდელები - 6 კრედიტი.
6. მოდიფიცირდა პროგრამის მიზნები.
7. მოდიფიცირდა სწავლის შედეგები „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

<p>1.1 პროგრამის მიზნები</p> <p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.</p> <p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი „გამოყენებითი მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები შეესაბამება სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიას, ნათლად არის ჩამოყალიბებული, ორიენტირებულია დასაქმების ბაზარზე და მიღწევადია. გამოყენებითი მათემატიკა წარმოადგენს მათემატიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქვედარგს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია სხვადასხვა სფეროში წარმოქმნილი რთული პროცესების მოდელირება და კვლევა, როგორც არსებული მათემატიკური მეთოდებისა და მოდელების გამოყენებით, ასევე ახალი მოდელების შემუშავებისა და მათი კვლევის საფუძველზე. თანამედროვე ეტაპზე ამ სფეროს დიდი პრაქტიკული გამოყენება აქვს, რადგან სხვადასხვა მიმართულებისა და სირთულის პროცესების კვლევის მნიშვნელოვან შემადგენელს წარმოადგენს.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ○ საგანმანათლებლო პროგრამა; ○ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია; ○ ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სადოქტორო პროგრამა შედგენილია ისე, რომ ეტაპობრივი პრინციპით მოხდეს იმ კომპეტენციების გამომუშავება და კვალიფიკაციის მიღება, რომელსაც, ზოგადად, პროგრამა და მისი შედეგები გულისხმობს. სადოქტორო პროგრამის დარგობრივი სასწავლო კომპონენტის კურსები უზრუნველყოფენ გამოყენებითი მათემატიკის საკვანძო პრობლემების შესახებ არსებული მასალისა და სამეცნიერო გამოკვლევების ამომწურავ ანალიზს.

სადოქტორო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და შედეგების მიღწევას „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ მერვე დონის შესაბამისად. სადოქტორო პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტი წარმოადგენს საკვალიფიკაციო ნაშრომს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. ამასთან ერთად, დოქტორანტურის სასწავლო პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს უყალიბდება გამოყენებითი მათემატიკის მიმართულების მკვლევარისთვის საჭირო უნარ-ჩვევები და შესაბამისი კომპეტენციები.

სადოქტორო პროგრამა შემუშავებულია სპეციალური ინსტრუქციის მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს დადგენილებით და რომელშიც განსაზღვრულია პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებული ტექნიკური და შინაარსობრივი საკითხები.

ასევე, განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილე ადამიანური რესურსი და პროგრამის მომზადების პროცესში მათი მონაწილეობა. პროგრამის ხელმძღვანელი წარმოადგენს ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ძირითად საკონტაქტო პირს, რომელსაც ეცნობება პროგრამის შიდა და გარე შეფასების, ტექნიკური მონიტორინგისა და აკადემიური ექსპერტიზის შედეგები და ევალუება მათზე რეაგირება პროგრამის სრულყოფის მიზნით. სწავლის შედეგების ოპტიმალურად და რეალისტურად განსაზღვრის, უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციით საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესი არის საჯარო და გამჭვირვალე, ხოლო პროგრამის განვითარებაში, მის შემდგომ სრულყოფაში მონაწილეობენ დაინტერესებული მხარეები (სტუდენტები, აკადემიური პერსონალი, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები). შემუშავებულია სტუდენტთა მიერ ცალკეული სასწავლო კურსებისა და ამ კურსის წამყვან პროფესორთა შეფასების სპეციალური კითხვარები, რომელთა დამუშავება და ანალიზი, მონაცემთა გათვალისწინება ხდება უწყვეტ რეჟიმში.

პროგრამა და სასწავლო პროცესი სტუდენტზეა ორიენტირებული და მაქსიმალურად ითვალისწინებს მის ინტერესებს, რაც გამოიხატება პროგრამის პერიოდულ დახვეწაში, კურსების შერჩევაში (კურსდამთავრებულთა რჩევით მოხდა პროგრამირებასთან დაკავშირებული კურსების დამატება, ასევე, რჩევების საფუძველზე, მიღების წინაპირობებში დარჩა მხოლოდ ინგლისური ენის შესაბამისი ცოდნის მოთხოვნა). თუმცა, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა ნაკადის სტუდენტები სხვადასხვა ხარისხით არიან ჩართული პროგრამის განვითარებაში (გამოკითხვებში, დისკუსიებში). პროგრამის განვითარებაში ჩართვის მოტივაციის გაზრდის მიზნით სასურველია მეტი კომუნიკაცია სტუდენტებთან.

სადოქტორო პროგრამისთვის შემუშავებულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელშიც აღწერილია, თუ რომელი კომპონენტი უზრუნველყოფს პროგრამის კონკრეტული შედეგის მიღწევას, ასევე, შეფასების კომპონენტები, რომლითაც ხდება შედეგების მიღწევის შემოწმება; დადგენილია სამიზნე ნიშნულები, დაკვირვები პერიოდი და დამკვირვებელი პირი. მიღებული შედეგების ანალიზს ახორციელებს უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა;
- კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, მეტი კომუნიკაცია სტუდენტებთან პროგრამის განვითარებაში

ჩართვის მოტივაციის გაზრდის მიზნით.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„გამოყენებითი მათემატიკის“ სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები არის საჯარო და ხელმისაწვდომი, ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას, უზრუნველყოფს პროგრამის დასაძლევად აუცილებელი კომპეტენციის მქონე პირთა პროგრამაზე მიღებას, შესაბამისობაშია მოქმედ საკანონმდებლო მოთხოვნებთან. კერძოდ, მოითხოვება მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი შემდეგ სფეროებში:

- საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, მათემატიკა და სტატისტიკა;
- ინჟინერია, წარმოება და მშენებლობა;
- ინფორმაციისა და კომუნიკაციის ტექნოლოგიები;
- ბიზნესი და ადმინისტრირება;
- სოციალური და ქცევითი მეცნიერებები.

კონკურსანტებს უტარდებათ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა ინგლისურ ენაში ცოდნის B2 დონის დასადასტურებლად. ასევე, უტარდებათ გასაუბრება საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტზე შექმნილ შესაბამის დარგობრივ კომისიასთან იმისათვის, რომ დადგინდეს პირის კომპეტენცია და მზაობა პროგრამაზე სწავლის დასაწყებად და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობის შესაძლებლობის დასადგენად.

სტუდენტის ჩარიცხვასთან დაკავშირებული ინფორმაცია ყოველწლიურად განახლებადია და განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: www.sou.edu.ge.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი: www.sou.edu.ge;
- სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კომისიის შემადგენლობა და მუშაობის წესი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-ში უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„გამოყენებითი მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი „სადოქტორო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის“ და „დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესაბამისად“. პროგრამა განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.sou.edu.ge. პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია შიდა საუნივერსიტეტო მოთხოვნებთან და მოქმედ კანონმდებლობასთან, „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“

მერვე დომესთან და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ კვალიფიკაციის ფორმირების კუთხით. პროგრამის შინაარსი არის ლოგიკური, უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა - მათემატიკის დოქტორი, რაც შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

პროგრამის სტრუქტურა შედგება სასწავლო და კვლევითი კომპონენტებისაგან. სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი კომპონენტისგან და ჯამში შეადგენს 60 ECTS კრედიტს. პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი, საიდანაც არანაკლებ 2 წელი ეთმობა სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის - დისერტაციის შესრულებას და დაცვას.

სასწავლო კომპონენტი მოიცავს როგორც დარგობრივ, ასევე უნარების განვითარებაზე მიმართულ სასწავლო კურსებს (სწავლების თანამედროვე მეთოდები, აკადემიური წერა /სადისერტაციო/სამეცნიერო ნაშრომის მომზადება).

სასწავლო კომპონენტი ასევე მოიცავს: პროფესორის ასისტენტობას, რომლის ფარგლებში დოქტორანტი ვალდებულია ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ პერსონალს. პროფესორის ასისტენტობა გულისხმობს სემინარების, პრაქტიკუმების ჩატარებას ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების, ტესტების მომზადებასა და გასწორებას; საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა/რეცენზენტობას და სხვ.

სასწავლო კომპონენტი ასევე ითვალისწინებს სემინარებს, რომელთა მიზანია დოქტორანტებმა გააცნობიერონ ზოგადად საკვლევო პრობლემის შესახებ ახალი ცოდნის შექმნის საჭიროება, გაიაზრონ გამოყენებული მეთოდოლოგიის, მიდგომებისა და კონცეფციების ანალიზისა და შეფასებების აუცილებლობა. სემინარზე დოქტორანტები წარმოადგენენ ნაშრომებს დარგის შესაბამის აქტუალურ საკითხებზე, ამა თუ იმ მეცნიერული პრობლემის კვლევის თანამედროვე მდგომარეობაზე.

სასწავლო კომპონენტის ფარგლებში პროგრამა დოქტორანტებს სთავაზობს დარგისთვის აქტუალურ სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების ფართო სპექტრს. როგორც ინტერვიუებზე გამოიკვეთა პროგრამა გაძლიერდა დრეკადობის თეორიის კუთხით, დაინტერესებული მხარეების მოთხოვნის შესაბამისად, ასევე გაძლიერდა რიცხვითი ანალიზის საკითხების სწავლება. ზოგადად, სადოქტორო პროგრამის დარგობრივი სასწავლო კომპონენტი უზრუნველყოფს გამოყენებითი მათემატიკის საკვანძო საკითხების

სწავლებას და აქტუალური თანამედროვე სამეცნიერო კვლევების ანალიზს, მათემატიკური მოდელირების, გამოთვლითი მათემატიკისა და მათემატიკური ფიზიკის უახლოეს მიღწევებზე დამყარებულ ცოდნას.

აღსანიშნავია, რომ პროგრამის განვითარებაში იკვეთება დაინტერესებული მხარეების ჩართულობა. განსაკუთრებით აღსანიშნავია დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა პროგრამის შემუშავების, განვითარების და განხორციელების ყველა ეტაპზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- სადოქტორო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება №05/01-362, 12.10.2017);
- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი, დამტკიცებული აკადემიური საბჭოს მიერ (დადგენილება №05/01-157, 25.03.2014);
- სსუ-ს ვებგვერდი: www.sou.edu.ge;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- სადოქტორო პროგრამა შინაარსობრივად ძლიერია, კონცენტრირებულია გამოყენებითი მათემატიკის აქტუალურ საკითხებზე.
- დამსაქმებლების აქტიური ჩართულობა პროგრამის შემუშავების, განვითარების და განხორციელების ყველა ეტაპზე.

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„გამოყენებითი მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სავალდებულო კომპონენტის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. პროგრამას აქვს „სასწავლო/სამეცნიერო კომპონენტისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა“, რომელიც აჩვენებს თუ რა დონით გადის ესა თუ ის სავალდებულო კომპონენტი პროგრამის შესაბამის შედეგზე - გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში კონკრეტული სასწავლო კურსი პროგრამის შესაბამის შედეგზე გადის, მაგალითად, გაცნობის და გაღრმავების დონეზე, რაც დაწესებულების წარმომადგენლების მხრიდან ახსნილი იყო, რომ ზოგიერთი სტუდენტისთვის გაცნობის დონე იქნება და ზოგიერთი სტუდენტისთვის კი გაღრმავების. იმისათვის, რომ ნათელი წარმოდგენა შეიქმნას პროგრამის სავალდებულო კომპონენტის სწავლის შედეგებსა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის დონეზე, სასურველია, ეს შესაბამისობა განისაზღვროს უშუალოდ მათ შორის და არ იყოს დამოკიდებული სტუდენტის მზაობაზე.

სასწავლო კურსების შინაარსი შეესაბამება შესაბამისი სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. ამასთან, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა უმეტეს შემთხვევაში ლოგიკურია და ითვალისწინებს კონკრეტული კურსის სპეციფიკას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სასწავლო კურსი „აკადემიური წერა /სადისერტაციო/სამეცნიერო ნაშრომის მომზადება“ მოიცავს 3 ECTS კრედიტს (20 საკონტაქტო საათი) და ფარავს დოქტორანტის კვლევითი საქმიანობისთვის მოსამზადებელ ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს როგორცაა, მაგალითად, სამეცნიერო კვლევის ეტაპების და საკვალიფიკაციო ნაშრომის შემადგენელი ძირითადი ნაწილების განხილვა, საკვალიფიკაციო თემაზე მუშაობის პროცესის დაგეგმარება და სხვ. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა თუ რამდენად საკმარისია გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა

სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკითხების სრულფასოვნად შესასწავლად, განსაკუთრებით იმ დოქტორანტებისთვის, ვისაც კვლევის გამოცდილება არა აქვს. ინტერვიუზე დაწესებულების წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ამ მხრივ პრობლემა არ დაფიქსირებულა. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ სასურველია დაწესებულებამ გადახედოს აღნიშნულ საკითხს და გაზარდოს ამ საგნისათვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შესაბამისი საკონტაქტო საათების გათვალისწინებით.

პროგრამის სასწავლო კომპონენტის სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კონკრეტული კურსის სწავლის შედეგებს და დაკავშირებულია სფეროს აქტუალურ მიღწევებთან; ასევე, გათვალისწინებულია სფეროს უახლესი კვლევები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- სასწავლო/სამეცნიერო კომპონენტისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, „სასწავლო/სამეცნიერო კომპონენტისა და პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა“ მკაფიოდ განსაზღვრავდეს პროგრამის სავალდებულო კომპონენტების სწავლის შედეგების პროგრამის სწავლის შედეგებთან შესაბამისობის დონეს კონკრეტული სტუდენტის მზაობის დონისგან დამოუკიდებლად.
- სასურველია, პროგრამის განმახორციელებელმა გუნდმა გადახედოს სასწავლო კურსის „აკადემიური წერა/სადისერტაციო/სამეცნიერო ნაშრომის მომზადება“ კრედიტების და, შესაბამისად, საკონტაქტო საათების მოცულობას, რათა დოქტორანტებს მიეცეთ შესაძლებლობა სრულფასოვნად შეისწავლონ სასწავლო კურსით გათვალისწინებული საკითხები, განსაკუთრებით კი იმ დოქტორანტებს, ვისაც კვლევის გამოცდილება არა აქვს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის)

შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„გამოყენებითი მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სამეცნიერო-კვლევითი და ზოგადი ტრანსფერული უნარების გამომუშავებაზე. ტრანსფერული უნარების გამომუშავების მიზნით პროგრამა დოქტორანტებს სავალდებულო სტატუსით სთავაზობს „სწავლების თანამედროვე მეთოდებისა“ და „აკადემიური წერის/სადისერტაციო/სამეცნიერო ნაშრომის მომზადების“ სასწავლო კურსებს. სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარების მიზნით პროგრამა ითვალისწინებს ორ სემინარს, რომლის ფარგლებში დოქტორანტებმა უნდა გააცნობიერონ საკვლევი პრობლემის შესახებ ახალი ცოდნის შექმნის საჭიროება, გაიაზრონ გამოყენებული მეთოდოლოგიის, მიდგომებისა და კონცეფციების ანალიზისა და შეფასებების აუცილებლობა.

„მათემატიკის სადისერტაციო საბჭოს დებულების“ მე-5 მუხლის 5.2 პუნქტის შესაბამისად, „დისერტაცია შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე; სხვა ენაზე დისერტაციის შესრულების საკითხს წყვეტს მათემატიკის სადისერტაციო საბჭო.“ აღსანიშნავია, რომ პროგრამის სწავლების ენაა ქართული. შესაბამისად, სასურველია, დისერტაცია, როგორც სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კვლევითი კომპონენტი, შესრულდეს პროგრამის

სწავლების ენაზე, მით უმეტეს, რომ ასეთი პრეცედენტი არც ყოფილა, როგორც დაწესებულების წარმომადგენლებმა ინტერვიუზე განაცხადეს. გარდა ამისა, არ კონკრეტდება რომელი უცხო ენა იგულისხმება.

სადოქტორო პროგრამის უმთავრესი მიზანია გამოყენებითი მათემატიკის სფეროში არსებული ცოდნის გაფართოება, მეცნიერული სიახლის დამკვიდრება, უახლეს მიღწევებზე დამყარებული სამეცნიერო-კვლევითი პროდუქტის შექმნა სადისერტაციო ნაშრომის სახით. „მათემატიკის სადისერტაციო საბჭოს დებულების“ მე-5 მუხლის 5.1 პუნქტის შესაბამისად, „დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და შეიცავდეს მეცნიერულ სიახლეს.“ აღსანიშნავია, რომ დისერტაციაზე დაშვების წინაპირობაა სამეცნიერო ნაშრომების მომზადება და გამოქვეყნება მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში, მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში და სხვ. აღნიშნული საკითხი რეგულირდება „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტით“, რომლის 7.1 პუნქტის თანახმად: „სადისერტაციო ნაშრომის ძირითადი შედეგები უნდა იქნეს გამოქვეყნებული არანაკლებ სამი სამეცნიერო ნაშრომის სახით რეფერირებად და რეცენზირებად გამოცემებში. სადისერტაციო საბჭოს უფლება აქვს თავად განსაზღვროს შესაბამისი გამოცემები.“ ამასთან, „მათემატიკის სადისერტაციო საბჭოს დებულების“ მე-6 მუხლის 6.3 პუნქტის თანახმად, დოქტორანტს შეფასების პროცესის ინტერნაციონალიზაციის მიზნით მოეთხოვება დააკმაყოფილოს ამ პუნქტით განსაზღვრული ერთ-ერთი მოთხოვნა მაინც, რომელთა შორისაა: „დ) დოქტორანტის სამეცნიერო ნაშრომი სადოქტორო დისერტაციის თემაზე უკვე დაიბეჭდა ან მიღებულია დასაბეჭდად იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში, ან რეფერირებად/რეცენზირებად ელექტრონულ და/ან ბეჭდურ ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ შესაბამის დარგობრივ საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალში, ან საზღვარგარეთ გამოცემულ საერთაშორისო კონფერენციის მასალებში (ე. წ. Proceedings), რაც დასტურდება შესაბამისი საერთაშორისო კლასიფიკატორით ან სხვა საერთაშორისო დოკუმენტით.“ აღნიშნული ჩანაწერი მოიაზრებს, რომ დოქტორანტს აქვს შესაძლებლობა არ შეასრულოს დ) ქვეპუნქტით დადგენილი მოთხოვნა და შეასრულოს ამ პუნქტით დადგენილი სხვა რომელიმე კრიტერიუმი. დოქტორანტის სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარების მიზნით, მიზანშეწონილია აღნიშნული ჩანაწერი იყოს სავალდებულო მოთხოვნა დისერტაციის დაცვაზე გასასვლელად.

სადოქტორო პროგრამა ასევე ორიენტირებულია დოქტორანტების პედაგოგიური უნარების

გამომუშავებაზე, რისთვისაც გათვალისწინებულია პროფესორის ასისტენტობის კურსი, რომლის ფარგლებში დოქტორანტი ვალდებულია ასისტენტობა გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და ჩაერთოს სწავლების პროცესში.

დაწესებულების მიერ ნიმუშის სახით შესაფასებლად წარმოდგენილი იყო 4 დისერტაცია. ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით წარმოდგენილი დისერტაციები შეესაბამება სადოქტორო დისერტაციისათვის დადგენილ სტანდარტებს, ასახავს დარგისთვის აქტუალურ სამეცნიერო სიახლეს. თუმცა აღსანიშნავია, რომ არ არის დაცული ერთიანი გაფორმების წესი, ვინაიდან ორ მათგანში არ არის მოცემული ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე. „დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების ზოგადი ინსტრუქციის“ შესაბამისად, არა არის სავალდებულო დისერტაციას ჰქონდეს ანოტაცია. დისერტაციის სტრუქტურა სავალდებულოდ მოიცავს:

- შესავალი ნაწილს (სატიტულო გვერდი, შინაარსი/სარჩევი);
- ძირითად ტექსტს (შესავალი, ლიტერატურის მიმოხილვა/საკვლევი პრობლემის შესწავლის დონე, სამეცნიერო პრობლემის კვლევა და კვლევის შედეგების შეჯერება, დასკვნა);
- ბიბლიოგრაფიას/გამოყენებული ლიტერატურის ნუსხას.

დისერტაცია ასევე შეიძლება შეიცავდეს ანბანურ საძიებელს, მადლიერების გვერდს, სქოლიოებს, დანართებს და სხვ.

რეკომენდებულია, დაწესებულებამ განახორციელოს დისერტაციების გაფორმების საერთო წესის პრაქტიკაში დანერგვის მონიტორინგი, რათა დაცული იყოს დისერტაციების ერთიანი ფორმატი.

თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ მიმდინარე წელს სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, იტალიის, ესპანეთის და უკრაინის უნივერსიტეტებთან ერთად შეტანილი აქვს განაცხადი ევროკავშირის ერასმუს+ პრაგრამაში. პროექტის დასახელებაა - Empowering Mathematics Efficient Doctoral Education (EMEDE), რომლის მიზანია მათემატიკის მიმართულების სადოქტორო პროგრამების განვითარება. პროექტის ფარგლებში ასევე გათვალისწინებულია დოქტორანტების ტრენინგები და მივლინებები ევროპის ქვეყნებში გამოცდილების გაზიარების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი;

<ul style="list-style-type: none"> • მათემატიკის სადისერტაციო საბჭოს დებულება; • დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების ზოგადი ინსტრუქცია; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია, დოქტორანტს დაცვაზე გასვლის ერთ-ერთ წინაპირობად სავალდებულო სახით განესაზღვროს დარგის შესაბამისი იმპაქტ-ფაქტორის მქონე peer-reviewed ჟურნალში მინიმუმ ერთი სტატიის გამოქვეყნება.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, დისერტაცია, როგორც ქართულენოვანი სადოქტორო პროგრამის სავალდებულო კვლევითი კომპონენტი, შესრულდეს მხოლოდ პროგრამის სწავლების ენაზე. • სასურველია, დაწესებულებამ განახორციელოს დისერტაციების გაფორმების საერთო წესის პრაქტიკაში დანერგვის მონიტორინგი, რათა დაცული იყოს დისერტაციების ერთიანი ფორმატი.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„გამოყენებითი მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება დოქტორანტურის საფეხურს. სასწავლო კურსებში გამოყენებული სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან და ინტერვიუებიდან ირკვევა, სასწავლო პროცესი აგებულია სტუდენტზე ორიენტირებული პრინციპით, რომელიც ითვალისწინებს სტუდენტის ინტერესებსა და საჭიროებებს. დოქტორანტისთვის დგება ინდივიდუალური სასწავლო და კვლევითი გეგმა, შესაბამისი ფორმების გამოყენებით (ფორმა 1 და 2). სასწავლო პროცესი ისეა აგებული, რომ მათ შეძლონ ფაქტების, მოვლენების, ცნებების ანალიზი და ინტერპრეტაცია.

სასწავლო კომპონენტის განსახორციელებლად სწავლება-სწავლის სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება: ლექცია, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დამოუკიდებელი მუშაობა, პრაქტიკული მეცადინეობა და სხვ. სწავლების მეთოდების შერჩევასა გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და მოსალოდნელი სწავლის შედეგი, კერძოდ, თუ რა უნდა იცოდეს და რისი გაკეთება უნდა შეძლოს სტუდენტმა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსები;
- სწავლება-სწავლის მეთოდები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- დოქტორანტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა - ფორმა 1;
- დოქტორანტის ინდივიდუალური კვლევითი გეგმა - ფორმა 2;
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი შეფასების სისტემა შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-თან „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“. სწავლის შედეგების შეფასება ეფუძნება გამჭვირვალობის და სამართლიანობის პრინციპებს. სწავლის შედეგების შეფასების სისტემა ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას და მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებს, კომპონენტებსა და მეთოდებს, რომლებიც საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს სტუდენტებმა საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

დაწესებულებაში არსებობს სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული შიდა რეგულაცია - „საწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი“, რომელშიც ნათლადაა გაწერილი

სტუდენტის შეფასებასთან დაკავშირებული წესები, მათ შორის სადოქტორო დისერტაციის შეფასების წესი.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოქმედი „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად:

- სტუდენტის სასწავლო კურსებში სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას;
- შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (0-100 ქულა) 0-60 ქულა განკუთვნილია შუალედური შეფასებებისათვის, ხოლო 0-40 ქულა - დასკვნითი შეფასებისათვის;
- დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. დასკვნითი გამოცდა სავალდებულოა. სტუდენტს კრედიტი ენიჭება დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში;
- შეფასების თითოეული ფორმა მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით (რუბრიკებით);
- შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელსაც ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი ან ავტორები, საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმების საფუძველზე.
- შუალედური შეფასებების აუცილებელი კომპონენტია წერიტი შეფასება, რომელიც განისაზღვრება არა ნაკლებ 20 ქულიანი წერიტი კომპონენტით. შუალედური შეფასებების ჯამური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს 11 ქულაზე ნაკლები.
- დასკვნითი გამოცდის/შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი არ უნდა იყოს დასკვნითი გამოცდის/შეფასების 45%-ზე ნაკლები (18 ქულა) და არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს (24 ქულა).
- კომბინირებული დასკვნითი გამოცდის შემთხვევაში ზეპირი კომპონენტი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 50%-ს. ამ შემთხვევაში გამოცდა ჩაბარებულად ჩაითვლება თუ სტუდენტი მიიღებს შეფასების თითოეულ ფორმაში (წერიტი/ზეპირი) დადგენილ ქულათა არანაკლებ 50%-ს;
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა;
- შეფასების სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად.
- საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში. აღნიშნული ვალდებულება არ ვრცელდება დისერტაციის, სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/ საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა

სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის მიმართ;

- სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.
- დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0 - 50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა;

სასწავლო კურსების სილაბუსებში მოცემულია კონკრეტული შეფასების კრიტერიუმები და ქულობრივი გადანაწილება, ასევე, დაწესებული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომლის შესახებაც სტუდენტები წინასწარ არიან ინფორმირებულები.

შეფასების წესებთან დაკავშირებული ზოგადი რეგულაციები მოცემულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე: www.sou.edu.ge.

შუალედური და დასკვნითი გამოცდების წერითი კომპონენტის ჩატარებას უზრუნველყოფს უნივერსიტეტის ერთიანი საგამოცდო ცენტრი, რომლის დებულებითაც განსაზღვრულია გასაჩივრების სისტემა, რაც ითვალისწინებს საპრეტენზიო კომისიების შექმნას სტუდენტთა მოთხოვნების შესაბამისად.

სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის/დისერტაციის შეფასების პროცესი აღწერილია დოქტორანტურის მინიმალურ სტანდარტსა და მათემატიკის სადისერტაციო საბჭოს დებულებაში. სადისერტაციო ნაშრომის შეფასება ხდება ერთჯერადად, კომისიის წევრების მიერ ინდივიდუალურად და ფასდება 100-ქულიანი სისტემით. სადისერტაციო საბჭოს მდივანს გამოჰყავს ქულათა საშუალო არითმეტიკული. შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №3-ს „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ 4² მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ. კერძოდ, მათემატიკის სადისერტაციო საბჭოს დებულების მე-3 მუხლის 3.3 პუნქტის შესაბამისად, „სამეცნიერო ხელმძღვანელი კონტროლს უწევს დოქტორანტის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების ათვისებას (იხ. მუხლი 4); რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტებთან, რაც გულისხმობს დოქტორანტის სამეცნიერო პროგრესის პერიოდულ შეფასებას, ზოგადი სამეცნიერო რჩევების მიცემას, კვლევის დიზაინსა და მენეჯმენტში დახმარებას; ასევე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტების/ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესში ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესში ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის ხელშეწყობას; აგრეთვე, სამეცნიერო სტატიების რეფერირებად/მაღალრეიტინგულ ჟურნალებში გამოქვეყნების შესახებ რჩევების მიცემას.“

<p>სადისერტაციო ნაშრომის შეფასებაში უზრუნველყოფილია გარე შემფასებლის/შემფასებლების მონაწილეობა. კერძოდ, მათემატიკის სადისერტაციო საბჭოს დებულების 1-ლი მუხლის 1.2 პუნქტის შესაბამისად, „ სადისერტაციო საბჭო შედგება მათემატიკის დარგის/სპეციალობის ყველა პროფესორისა და ასოცირებული პროფესორისგან. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში, ასევე, წარმოდგენილია შესაბამისი დარგის/სპეციალობის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ან სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან. სადისერტაციო საბჭოს მოწვეულ წევრთა რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს სადისერტაციო საბჭოში შემავალი სსუ-ს აკადემიური პერსონალის 1/3-მედს.“</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> • საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები; • სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტის დებულება/ერთიანი საგამოცდო ცენტრი; • დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი; • მათემატიკის სადისერტაციო საბჭოს დებულება; • სსუ-ს ვებგვერდი www. sou.edu.ge; • მათემატიკის სადისერტაციო საბჭოს დებულება; • თვითშეფასების ანგარიში; • ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p>

× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადეკვატურ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება

სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში „გამოყენებითი მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის რეაკრედიტაციის პროცესში ინტერვიუები წარიმართა როგორც სტუდენტებთან, ისე კურსდამთავრებულებთან. ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ გამოყენებითი მათემატიკის სადოქტორო პროგრამა შესაბამისი სერვისების შეთავაზებით ცდილობს უზრუნველყოს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნა.

დოკუმენტაციის შესწავლისას ჩანდა, რომ უნივერსიტეტი დოქტორანტებისთვის

ინფორმაციის მიწოდების სხვადასხვა შესაძლებლობით სარგებლობს, სტუდენტები ინფორმაციას დასაქმებაზე, კარიერულ განვითარებაზე, სხვადასხვა ღონისძიებების, კონფერენციების, საგრანტო კონკურსების შესახებ იღებენ ელექტრონული სისტემის studlab-ის საშუალებით. აღნიშნული სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს ინტერაქციას სტუდენტსა და ლექტორს შორის, ამ პლატფორმაზე სტუდენტებს შეუძლიათ გაიარონ ონლაინ კონსულტაცია ნებისმიერ ლექტორთან საინტერესო საკითხისა თუ კურსის შესახებ, თუმცა სტუდენტებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ ამ პლატფორმას კომუნიკაციისთვის ნაკლებად მიმართავენ.

გარდა აღნიშნული საკომუნიკაციო საშუალებისა, სტუდენტების თქმით, მათ მუდმივი სატელეფონო კომუნიკაცია აქვთ საკუთარ ხელმძღვანელებთან. აღსანიშნავია, რომ აკადემიური პერსონალის დატვირთვაშიც გათვალისწინებულია კონსულტაციებისათვის გამოყოფილი საათები, რაც დასტურდება როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ისე ინტერვიუების საფუძველზე. ასევე, ხელშეკრულება, რომელიც ფორმდება უსდ-სა და დოქტორანტს შორის, მოიცავს დეტალურ ინფორმაციას სწავლის პირობებისა და ვალდებულებების შესახებ.

ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ უსდ-მ დააორგანიზა საინფორმაციო შეხვედრა პლაგიატთან დაკავშირებით, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კვლევით კომპონენტზე მყოფი სტუდენტებისთვის, მათი სამეცნიერო საქმიანობისთვის.

სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუებმა წარმოაჩინა, რომ ფუნქციონირებს შეფასების სისტემაც. სისტემა studlab-ში აისახება დოქტორანტის შეფასების მონაცემები, რაც საშუალებას აძლევს სტუდენტს მიიღოს დროული უკუკავშირი აკადემიური მიღწევების შესახებ, თუმცა, აქვე შევნიშნავთ, რომ მიუხედავად ამ სისტემის არსებობისა, სტუდენტები ნაკლებად იცნობენ გასაჩივრების მექანიზმებს, აღნიშნავენ, რომ მიღებული შეფასებებით ყოველთვის კმაყოფილნი არიან, არასდროს გაუსაჩივრებიათ და, შესაბამისად, უჭირთ ამ პროცესების აღწერა.

კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია ზრუნავს საკუთარი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების განვითარებაზე, აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის დაფინანსებით წარგზავნილნი იყვნენ ლისაბონსა და ბარსელონაში, სასწავლო კონფერენციებზე. ასევე, აღინიშნა, რომ სტუდენტები სარგებლობდნენ შოთა რუსთაველის სახელობის სამეცნიერო ინსტიტუტის საგრანტო დაფინანსებით, რომლის ფარგლებშიც მოამზადეს და რეფერირებად ჟურნალებში დაბეჭდეს საკუთარი სტატიები.

შეიძლება ითქვას, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები შესანიშნავად წარმოაჩინენ გამოყენებითი მათემატიკის ძლიერ მხარეებს, რადგანაც ისინი დამკვიდრებულნი არიან დარგში და აგრძელებენ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. გარდა ამისა, სწორედ კურსდამთავრებულებმა გაუსვეს ხაზი იმას, რომ აქტიურად იყვნენ ჩართულნი პროგრამის შემუშავება-განახლების პროცესებში. უნივერსიტეტმა გაითვალისწინა მათი ინიციატივა რიცხვითი მეთოდების გაძლიერებულად სწავლების შესახებ და ასევე, მათივე ინიციატივით დოქტორანტურაში მისაღებად ევროპული

ენებიდან, ინგლისური ენის ცოდნის დადასტურება B2 დონეზე გახდა სავალდებულო.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი „გამოყენებითი მათემატიკის“ მიმართულების სტუდენტებს სთავაზობს სამუშაო სივრცეებს, იქნება ეს ბიბლიოთეკა თუ კომპიუტერული ლაბორატორიები. სტუდენტებს შეუძლიათ სასურველი წიგნი თუ სტატია (უნივერსიტეტის რესურსებში არსებობის შემთხვევაში) მოიძიონ როგორც დამოუკიდებლად ბიბლიოთეკის ელექტრონული გვერდის - elibrary.sou.edu.ge - საშუალებით, ასევე, ადგილზე მომსახურე პერსონალის დახმარებით.

აქვე შევნიშნავ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, გამოყენებითი მათემატიკის სადოქტორო პროგრამას 18 მაისს გაუვიდა აკრედიტაციის ვადა, რაც გარკვეულწილად შემაფერხებელია აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებისთვის. ინტერვიუების დროს სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ინფორმირებულნი იყვნენ ამ პროცესების შესახებ, თქვეს, რომ იცოდნენ და წინასწარ შეიჩერეს სტატუსი. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით განსხვავებული პოზიცია დაფიქსირდა აკადემიური პერსონალის მხრიდან. მათი თქმით, სტუდენტებს, რომლებიც სასწავლო კომპონენტის ნაწილზე არიან, მხოლოდ გამოცდები არ ჩაუბარებიათ, მათ სხვა ყველა აქტივობა განაზოციელეს. ვფიქრობთ, რომ ეს გაუგებრობა გამოწვეულია ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის არათანმიმდევრული კომუნიკაციით. მსგავსი სიტუაციის თავიდან აცილების მიზნით, მნიშვნელოვანია უნივერსიტეტმა მიმართოს პრევენციულ ღონისძიებებს, ინფორმაცია სრულყოფილად და დროულად უნდა მიეწოდებოდეს სტუდენტებს. აღსანიშნავია, რომ გამოკვეთილ პრობლემას თავად უნივერსიტეტიც ხედავს და თვითშეფასების კითხვარშიც გასაუმჯობესებელ მხარეებად ასახელებს სტუდენტთა ელექტრონული სერვისების შემდგომ გაუმჯობესებასა და სტუდენტთა ინფორმირებულობის ახალი მექანიზმების დანერგვას (გვ. 36).

დასკვნის სახით უნდა ითქვას, რომ აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებულმა ინტერვიუებმა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან წარმოაჩინა საქმიანი ატმოსფერო, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის, გამოყენებითი მათემატიკის გუნდი ღიაა და მზად არის შემოთავაზებული რჩევების გაზიარებისთვის, რაც ხარისხის გაუმჯობესების წინაპირობად უნდა მივიჩნიოთ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- გამოყენებითი მათემატიკის სადოქტორო პროგრამის აღწერილობა;
- სასწავლო კურსების კურიკულუმი და სილაბუსები;
- ასისტორების, დარგობრივი სემინარის, სადისერტაციო ნაშრომის, სადოქტორო კოლოკვიუმის კონცეფციები;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა: <https://students.sou.edu.ge/>;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <https://www.sou.edu.ge/>;
- ინტერვიუები პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, სადოქტორო პროგრამის სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, ადმინისტრაციას, აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის დამკვიდრებული იყოს ეფექტური კომუნიკაცია საორგანიზაციო საკითხებთან დაკავშირებით.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>ი გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა</p>
<p>მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის (პროგრამაში ჩართული პერსონალის ბიოგრაფიები და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შედეგები, დოქტორანტურის დებულება) საფუძველზე უნდა ითქვას, რომ გამოყენებითი მათემატიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტებს ჰყავთ მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელები, რომლებიც საკუთარ საქმიანობაში საკმაოდ წარმატებულნი არიან. „დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის შესაბამისად, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი უნდა იყოს სსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის აკადემიური პერსონალი და უნდა ჰქონდეს დოქტორანტის სადისერტაციო თემასთან დაკავშირებულ სამეცნიერო სფეროში კვლევის გამოცდილება და პუბლიკაციები“ - აღნიშნულია</p>

თვითშეფასების ანგარიშში (გვ. 34); საჭიროების შემთხვევაში დოქტორანტებს ასევე აქვთ შესაძლებლობა ჰყავდეთ ერთზე მეტი ხელმძღვანელი ან თანახელმძღვანელი, თუმცა „ერთზე მეტი სამეცნიერო ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მათემატიკის სადისერტაციო საბჭო“ (თვითშეფასების ანგარიში, გვ. 35).

დოქტორანტების ხელმძღვანელების უფლება-მოვალეობები და ხელმძღვანელობის პროცესი ასახულია სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის ფაკულტეტის მათემატიკის სადისერტაციო საბჭოს დებულებაში (მუხლი 3), ასევე, სადოქტორო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მესამე მუხლში. აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალთან და სტუდენტებთან ინტერვიუების დროს დადგინდა, რომ გამოყენებითი მათემატიკის სადოქტორო პროგრამის ფარგლებში ხდება აღნიშნული რეგულაციის თანმიმდევრულად შესრულება.

დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა მიიღონ კონსულტაციები ხელმძღვანელისგან ყოველკვირეული ინდივიდუალური გრაფიკით, რაც გაწერილია სილაბუსებში. შესაბამისად, უზრუნველყოფილია დოქტორანტების სისტემატური და ეფექტიანი კომუნიკაცია თავიანთ სამეცნიერო ხელმძღვანელებთან, რომლებიც მუდმივად ცდილობენ დაეხმარონ არა მხოლოდ კონცეპტუალური ხასიათის რჩევებით, არამედ საკვლევი თემისთვის საჭირო რესურსების მოძიების პროცესშიც. სტუდენტების თქმით, ხელმძღვანელები მათ ეხმარებიან კვლევასთან დაკავშირებულ ბევრ სხვადასხვა საკითხში (მაგალითად, დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი; სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება და სხვ.).

როგორც სტუდენტებთან, ასევე კურსდამთავრებულებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ ისინი მონაწილეობენ არა მარტო ადგილობრივ, არამედ საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში და აქვთ შესაძლებლობა საკუთარი სამეცნიერო მიღწევების გაზიარებისა. მათი ნაშრომები დაბეჭდილია ისეთ საერთაშორისო აღიარების მქონე რეფერირებად ჟურნალებში, როგორებიცაა: Springer, მემუარები დიფერენციალური განტოლებებისა და მათემატიკური ფიზიკის შესახებ და ა.შ.

დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე და ჩატარებული ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, რომ საჭიროა დისერტაციის გაფორმებისა და შეფასების წესის დახვეწა და პრაქტიკაში დანერგვის მონიტორინგი. სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებში (გვ. 2) არ არის გათვალისწინებული აკადემიური სტილი, თუმცა კი ნაშრომის გაფორმების წესში ამ საკითხს საკმაოდ მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა. ასევე, უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ოთხი სადისერტაციო ნაშრომის შესწავლამ აჩვენა, რომ ორ მათგანს აქვს აბსტრაქტი, ხოლო ორს - არა. სასურველი იქნება, თუ უსდ სადისერტაციო ნაშრომის გაფორმების წესში შეიტანს შესაბამის ცვლილებას, რათა სადისერტაციო ნაშრომის აგების თვალსაზრისით სტანდარტი ყველა სტუდენტისთვის

იყოს ერთი და იგივე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი;
- მათემატიკის სადისერტაციო საბჭოს დებულება;
- დაცული დისერტაციები;
- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან, დოქტორანტსა და სადოქტორო პროგრამების კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა გაითვალისწინოს რჩევა დისერტაციის გაფორმებისა და შეფასების წესის დახვეწასა და პრაქტიკაში დანერგვის მონიტორინგის შესახებ.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას;
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

„გამოყენებითი მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს მაღალკვალიფიციური, გამოცდილი და დარგში ცნობილი აკადემიური პერსონალი, რომელთაც უდასტურდებათ გამოყენებითი მათემატიკის მიმართულებით უახლესი აქტუალური კვლევები (მათ შორის ბოლო 5 წლის განმავლობაში), მრავალწლიანი სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება, რაც დასტურდება ინტერვიუებით, წარმოდგენილი რეზიუმეებით და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტებით, მათ შორის დოქტორანტების ხელმძღვანელობა და ახალი თაობების გაზრდა. სადოქტორო პროგრამას ჰყავს დარგში დამკვიდრებული კურსდამთავრებულები, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას.

პროგრამის ხელმძღვანელებს გააჩნიათ პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდ არიან ჩართული პროგრამის განხორციელებაში, სტუდენტების კონსულტირებაში, პროგრამის განვითარებაში, დოქტორანტების მოზიდვაში, რაც დასტურდება ვიზიტის დროს ინტერვიუებით, მათ შორის სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან.

აკადემიური პერსონალის არჩევა ხდება კონკურსის წესით საკანონმდებლო მოთხოვნების და შიდა რეგულაციების დაცვით. აკადემიური პერსონალის დენადობის მაჩვენებელია 0. შესაბამისად, პროგრამა მდგრადია ადამიანური რესურსების თვალსაზრისით.

ინტერვიუებიდან, თვითშეფასების ანგარიშიდან, ასევე წარმოდგენილი „აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებებიდან“ ირკვევა, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი ხელს უწყობს აკადემიური პერსონალის პროფესიულ განვითარებას საერთაშორისო ღონისძიებებში (კონფერენციები, კონგრესები, სიმპოზიუმები, გაცვლითი პროგრამები, სემინარები, ტრენინგები) მონაწილეობის თვალსაზრისით, აფინანსებს მათ კვლევით საქმიანობას და კონფერენციებში მონაწილეობას.

დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებს უდასტურდებათ გამოყენებითი მათემატიკის სფეროში უახლესი ცოდნა და სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება. ისინი ამუშავებენ დოქტორანტებს იმ თემატიკასთან დაკავშირებით, რაშიც თვითონ ახორციელებენ კვლევებს. ხელმძღვანელებისა და დოქტორანტების თანაფარდობაა 2/3. „სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტის“ მე-2 მუხლის 2.2 პუნქტის თანახმად „სამეცნიერო ხელმძღვანელის სალექციო და კვლევითი დატვირთვიდან გამომდინარეობს, თუ რამდენ დოქტორანტს შეუძლია უხელმძღვანელოს.“

განსაკუთრებით აღსანიშნავია სტუდენტების და კურსდამთავრებულების კმაყოფილება პროგრამის და სამეცნიერო ხელმძღვანელების მიმართ, რაც გამოიხატება მუდმივი ზრუნვით, ხელშეწყობით, მოტივაციის ამაღლებით, კონსულტაციებისთვის მუდმივი მზაობით, სამეცნიერო სივრცეში ინტეგრირებაში დახმარებით, დისერტაციაზე მუშაობის პროცესში აქტიური და ღირებული ჩართულობით და სხვ.

პროგრამის აკადემიური პერსონალი აქტიურადაა ჩართული პროგრამის განვითარების

პროცესში, რაც დასტურდება მათთან ინტერვიუთი.

თვითშეფასების ანგარიშის მიხედვით პროგრამას ემსახურება 1 მოწვეული და 5 აკადემიური პერსონალი (2 პროფესორი და 3 ასოცირებული პროფესორი), მათ შორის 5-ივე აფილირებული. როგორც ინტერვიუს დროს გაირკვა, აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის პროცესის წარმოების პერიოდში ამ მოწვეულმა პერსონალმაც კონკურსის წესით დაიკავა აკადემიური თანამდებობა. შესაბამისად, ამჟამად პროგრამას ემსახურება 6 აკადემიური პერსონალი.

თვითშეფასების ანგარიშიდან ირკვევა, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია „აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის წესი და ინდივიდუალური დატვირთვის სქემა“, რომელიც მოიცავს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევით და სხვა დატვირთვის მათზე დაკისრებული ფუნქცი-მოვალეობებიდან გამომდინარე. უნივერსიტეტი ითვალისწინებს აკადემიური პერსონალის დატვირთვის ყველა იმ უსდ-ში, სადაც ის ეწევა დამატებით საქმიანობას.

თვითშეფასების ანგარიშიდან და ინტერვიუებიდან გაირკვა, რომ პროგრამას ემსახურება სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. აღინიშნა, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გამოხატავს სრულ მხარდაჭერას სადოქტორო პროგრამის განვითარება-განხორციელების მხრივ, მათ შორის ფინანსური კუთხით.

მიუხედავად ზემოთ აღნიშნულისა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სადოქტორო პროგრამას აკრედიტაციის ვადა გაუვიდა მიმდინარე წლის 18 მაისს, რამაც გამოიწვია პროგრამის სტუდენტების სტატუსის შეჩერება. შესაბამისად, პროგრამის ხელმძღვანელებს, განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალს და ადმინისტრაციულ პირებს უნდა გაეწიათ მეტი ძალისხმევა პროგრამის უწყვეტობის შესანარჩუნებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პერსონალის რეზიუმეები (CV) და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებები;
- სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტურის მინიმალური სტანდარტი;
- თვითშეფასების ანგარიში;

<ul style="list-style-type: none"> • ინტერვიუს შედეგები.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია, პროგრამის განმახორციელებელმა აკადემიურმა და ადმინისტრაციულმა პირებმა უზრუნველყონ პროგრამის შეუფერხებელი განხორციელება, რათა მაქსიმალურად იქნას დაცული დოქტორანტების სწავლისა და კვლევების წარმოების უწყვეტობა.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> • სადოქტორო პროგრამას ახორციელებს მაღალკვალიფიციური და გამოცდილი პერსონალი, ვინც ცნობილი არიან დარგში და აქვთ აქტუალური თანამედროვე მიღწევები. • სადოქტორო პროგრამას ჰყავს დარგში დამკვიდრებული კურსდამთავრებულები, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობას. • უნივერსიტეტის ადმინისტრაცია გამოხატავს სრულ მხარდაჭერას სადოქტორო პროგრამის განვითარება-განხორციელების მხრივ, მათ შორის ფინანსური კუთხით.
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;

➤ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სისტემატურად ხორციელდება პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის შეფასება. ხდება სტუდენტთა კმაყოფილების გამოკვლევა პროგრამის თითოეულ საგანთან და ამ საგნის ლექტორთან მიმართებაში. გარდა ამისა, ფასდება ლექტორის ჯგუფების აკადემიური მოსწრება და სტუდენტთა მიღწევები კონკრეტულ ლექტორთან მუშაობის პროცესში.

სსუ-ში ყოველწლიურად ხორციელდება გავლილი წლის მიხედვით პერსონალის სამეცნიერო მუშაობის შეფასება და ანალიზი. ანალიზის შედეგები გამოიყენება აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის მიზნობრივი მხარდაჭერისთვის (მივლინების დაფინანსება, პუბლიკაციებისთვის საჭირო თანხების ნაწილის გამოყოფა). სსუ ხელს უწყობს მისი პერსონალის სამეცნიერო/კვლევითი პროექტებში ჩართულობას, მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში და აფინანსებს სამივლინებო ხარჯებს კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. სამეცნიერო აქტივობებისთვის საჭირო დაფინანსების მოსაპოვებლად აკადემიური პერსონალი (სადოქტორო პროექტის ხელმძღვანელი) წერს წარდგინებას ადმინისტრაციის (ფაკულტეტის დეკანის) სახელზე და ამის შემდეგ ხდება საჭირო თანხის გამოყოფა უნივერსიტეტის/ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

პერსონალის CV ადასტურებს, რო შეფასების შედეგები გათვალისწინებულია პერსონალის დაწინაურებისას.

- მტკიცებულებები/ინდიკატორები**
- თვითშეფასების ანგარიში;
 - ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელებთან;
 - ინტერვიუ პროგრამის განმახორციელებელ აკადემიურ პერსონალთან;
 - ინტერვიუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან;
 - ინტერვიუ ადმინისტრაციასთან;
 - ინტერვიუ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
- სასურველია, სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო დაფინანსების მიღების/გაცემის პროცედურები გახდეს მეტად უნიფიცირებული.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე

ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.3 მატერიალური რესურსი
<p>პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ვიზიტის განხორციელების დროს ექსპერტთა ჯგუფს საშუალება მიეცა ადგილზე გადაემოწმებინა უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება. დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ მიმდინარე წელს დასრულდა იმ შენობა-ნაგებობის სარემონტო სამუშაოები, სადაც აღნიშნული პროგრამა ხორციელდება, კერძოდ, გარემონტდა სასწავლო აუდიტორიები, სველი წერტილები, დერეფნები.</p> <p>ექსპერტთა ჯგუფის ბიბლიოთეკაში ვიზიტის შემდეგ დადგინდა, რომ:</p> <p>ბიბლიოთეკა ღიაა კვირაში 6 დღე და მისი სამკითხველო სივრცე აღჭურვილია დამოუკიდებლად მუშაობისთვის, გააჩნია როგორც ინდივიდუალური, ასევე, ჯგუფური შეხვედრების ოთახი, კომპიუტერული ტექნიკა, რაც ხელმისაწვდომია მათ შორის მოცემული სადოქტორო პროგრამის სტუდენტებისთვისაც.</p> <p>პროგრამის სასწავლო კომპონენტის სილაბუსებით გათვალისწინებული ლიტერატურის აბსოლუტური უმრავლესობა ინსტიტუციას აქვს ელექტრონულ ფორმატში (ნაწილი არაფორმალურად მოძიებული), რომელსაც უშუალოდ კურსის ხელმძღვანელი უზრუნველყოფს.</p>

სტუდენტებს.

ბიბლიოთეკის ვებ-გვერდიდან ირკვევა, რომ ამჟამად წვდომა შესაძლებელია ისეთ სამეცნიერო ბაზებზე, როგორც არის - Clarivate Analytics; Project Muse, Emerald, Proquest და სხვა. ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე ვიზიტისას შეეცადა გადაემოწოებინა აღნიშნული. როგორც გაირკვა არცერთი ზემოთ დასახელებული სამეცნიერო ბაზა არ არის ხელმისაწვდომი. მოცემული პროგრამის თვითშეფასების ანგარიშში საუბარია, რომ უნივერსიტეტს გააჩნია წვდომა Thomson Reuters (ამჟამინდელი Clarivate Analytics) სამეცნიერო ბაზაზე, შოთა რუსთაველის სამეცნიერო ფონდის დახმარებით. ექსპერტთა ჯგუფმა დამატებითი დოკუმენტაციის სახით გამოითხოვა აღნიშნული ხელშეკრულება, თუმცა დაწესებულების მხრიდან მისი წარმოდგენა ვერ მოხდა.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, თუ რომელ კონკრეტულ სამეცნიერო ბაზებს გამოიყენებენ აღნიშნული პროგრამის სტუდენტები და აკადემიური პერსონალი. საპასუხოდ დადგინდა, რომ ძირითად შემთხვევებში სტუდენტებს სამეცნიერო ლიტერატურას მათივე ხელმძღვანელები აწვდიან (სტუდენტებმა დაადასტურეს აღნიშნული ინტერვიუების დროს). პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი მიუთითებს, რომ ისინი ძირითადად იყენებენ ვებ-გვერდს ResearchGate, რომელიც წარმოადგენს ერთგვარ აკადემიურ სოციალურ ქსელს, ასევე, ბიბლიოთეკის გავლით უზრუნველყოფილია წვდომა zbMath OPEN-ზე, რომელიც წარმოადგენს ღია წვდომის აბსტრაქტების ბაზას, შესაბამისად, სტატისტიკის სრული ტექსტები ხელმისაწვდომი არ არის.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა რამდენად ინფორმირებულები არიან სტუდენტები ბიბლიოთეკაში არსებული სერვისების შესახებ. როგორც ინტერვიუებმა აჩვენა, სტუდენტები ბიბლიოთეკას ნაკლებად მიმართავენ, რადგან პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო არ უხდებოდათ უნივერსიტეტში სიარული, რაც შეეხება სასწავლო მასალას, ან სამეცნიერო წყაროებს ამას უშუალოდ მათი ხელმძღვანელი, ან კონკრეტული სასწავლო კურსის ხელმძღვანელი აწვდიდათ.

მოცემული სურათის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აუცილებელია ინსტიტუციამ უზრუნველყოს წვდომა იმ ტიპის სამეცნიერო ბაზებზე (სტატისტიკის სრული ტექსტებით), რომელიც მნიშვნელოვანია პროგრამით გათვალისწინებული მიზნებისა და შედეგების მისაღწევად. რეკომენდირებულია, საინფორმაციო სახის შეხვედრების გამართვა სადოქტორო საფეხურის სტუდენტებთან, უშუალოდ სამეცნიერო ბაზების გამოყენების მიმართულებით, მათი ცნობიერების ამაღლების მიზნით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტში განხორციელებული ვიზიტი;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ბიბლიოთეკის ვებ-სივრცის განახლება იმგვარად, რომ არსებულ სამეცნიერო ბაზებთან შესაძლებელი იყოს წვდომა როგორც უნივერსიტეტის შენობიდან, ისე მის მიღმა.
- რეკომენდებულია, სადოქტორო პროგრამის მიმართულების მიხედვით რელევანტურ სამეცნიერო ბაზებზე წვდომის უფლების მოპოვება იმისათვის, რომ დარგში არსებული უახლესი სამეცნიერო პუბლიკაციები ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისთვის და აკადემიური პერსონალისთვის.
- რეკომენდებულია, ბიბლიოთეკა აქტიურად ჩაერთოს ტრენინგების (ინფორმაციის მოძიება; წყაროების სანდოობის შეფასება; აკადემიური სტილის საკითხები) მომზადების და შეთავაზების მიმართულებით, როგორც სტუდენტებთან, ასევე, აკადემიურ პერსონალთან.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სასწავლო კურსებით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო ლიტერატურა, ერთეულ ასლად, ნაბეჭდი ფორმით, ხელმისაწვდომი იყოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

ო გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.4 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა პროგრამას გააჩნია ბიუჯეტი, რომელიც დგება ყოველწლიურად პროგრამის ხელმძღვანელთან შეთანხმებით, თუმცა, აღნიშნული ბიუჯეტი არ განიხილება დამოუკიდებლად, როგორც განყენებული დოკუმენტი, ის ერთიანდება ფაკულტეტის ბიუჯეტში. ვიზიტის განხორციელების დროს, ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, როგორ ხდებოდა ბიუჯეტის შედგენა, პრიორიტეტების განსაზღვრა და ხარჯვითი ნაწილის დადგენა. ამ მიზნით რამდენიმე კითხვა დაისვა როგორც პროგრამის ხელმძღვანელებთან, ასევე, ფაკულტეტის და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან. ინტერვიუებმა ცხადყო, რომ სასწავლო პროგრამის ბიუჯეტი არის სავარაუდო გათვლა, რომლის შესრულება ხდება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით.

როგორც წარმოდგენილი ბიუჯეტიდან ირკვევა, პროგრამის შემოსავლის დიდი ნაწილი არის სწავლის გადასახადი, რომელიც დაანგარიშებულია სტუდენტთა რაოდენობის შესაბამისად. თუმცა, აქვე მოცეულია, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში გამოცხადებულ 5 ვაკანტურ ადგილზე ჩაირიცხა მხოლოდ ერთი სტუდენტი. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, როგორ ხდება პროგრამის განხორციელება იმ პირობებში, როდესაც ბიუჯეტით დაგეგმილი შემოსავლების ნაწილი მხოლოდ მეხუთედით ივსება. მოცემულ კითხვაზე უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ მსგავს შემთხვევაში მიმდინარე ვალდებულებების დაფარვა ხდება ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, აკადემიური პერსონალი ჩართულია რა სხვა სასწავლო პროგრამების განხორციელებაში მათ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფას საფრთხე არ ექმნება, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოცემულ პროგრამაზე ვერ მოხდება წინასწარ განსაზღვრული შემოსავლების მიღება.

ფაკულტეტის ბიუჯეტში გამოყოფილია თანხები სამეცნიერო ლიტერატურის შესყიდვის მიზნით (5000 ლარი - 2022 წლის ბიუჯეტში), თუმცა რადგან მოცემულ ფაკულტეტზე ხორციელდება ოცზე მეტი საგანმანათლებლო პროგრამა, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ მოცემული რესურსი ვერ იქნება ეფექტური მიზნების მისაღწევად, შესაბამისად, გასცემს რეკომენდაციას, რომ ფაკულტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის დროს, სამეცნიერო ლიტერატურის შესყიდვის ნაწილში გათვალისწინებული ხარჯი შესაბამისობაში იყოს არსებულ საჭიროებებთან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების, მათემატიკის, ტექნოლოგიებისა და ფარმაციის

<p>ფაკულტეტის ბიუჯეტი;</p> <ul style="list-style-type: none"> პროგრამის თვითშეფასების ანგარიში; ინტერვიუს შედეგები; უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> რეკომენდებულია, პროგრამის (და ფაკულტეტის) ბიუჯეტის შემუშავების დროს სამეცნიერო ლიტერატურის (როგორც წიგნები, ასევე სამეცნიერო ჟურნალები) მუხლით გათვალისწინებული ხარჯები გაიზარდოს და შესაბამისობაში მოვიდეს არსებულ საჭიროებებთან.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p><input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით		X		

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, პროგრამის შემუშავებისას შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და უნივერსიტეტის ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები. ინტერვიუების დროს, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა შესაძლებლობა თვითშეფასების ჯგუფთან გასაუბრებისა, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ პროგრამის შემუშავებისას თანაბარი იყო ჩართულობა, როგორც აკადემიური, ასევე ადმინისტრაციული პერსონალის.

თვითშეფასების დოკუმენტიდან ირკვევა და, ასევე, ინტერვიუების დროს დაწესებულების მხრიდან რამდენჯერმე გაიჟღერა, რომ პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფა ეფუძნება პრინციპს „დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე“, თუმცა ბოლო ორი ეტაპი - „შეამოწმე და განავითარე“ ჯერჯერობით პრაქტიკაში აქტიურად ვერ ხორციელდება. პროგრამასთან მიმართებაში, ინსტიტუცია უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის გამოკითხვას. მოცემულ საანგარიშო პერიოდში ეს ხორციელდებოდა ნაბეჭდ ფურცლებზე, თუმცა უკანასკნელი გამოკითხვა ელექტრონულ ფორმატში ჩატარდა. როგორც ინსტიტუციის წარმომადგენლები განმარტავენ, ამ გამოკითხვების ანალიზი და მის საფუძველზე ინტერვენციები არ განხორციელებულა. ცხადია, ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა რა გახდა ამის მიზეზი, რის საპასუხოდ ინსტიტუციამ განმარტა, რომ პანდემიის პირობებში ბევრი სხვადასხვა აქტივობის შესრულების ფონზე, ეს საკითხი ყურადღების მიღმა დარჩა, თუმცა აქვე გამოითქვა მზაობა, რომ სამომავლოდ ეს

მიმართულება გაძლიერდეს.

ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა ხდებოდა თუ არა სტუდენტების გამოკითხვა წინასწარ განსაზღვრული სიხშირით, რის საპასუხოდაც ინსტიტუციამ განმარტა, რომ კონკრეტულად ამ პროგრამის სტუდენტების გამოკითხვა ჯერჯერობით არ განხორციელებულა, ამის მიზეზად სახელდება სტუდენტების დაბალი რაოდენობა (სტატისტიკური მოქმედებები შეუძლებელია 2-3 ერთეულზე). ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ მიუხედავად სტუდენტების მცირე რაოდენობისა, მიზანშეწონილია მათი მხრიდან პროგრამის/სასწავლო კურსების შეფასება (შესაძლებელია ეს იყოს არა რაოდენობრივი, არამედ თვისებრივი შეფასება), ხოლო აკადემიური პერსონალის გამოკითხვების შემთხვევაში, აუცილებელია მიღებული შედეგების გათვალისწინება და სამომავლო აქტივობების დაგეგმვა.

მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ საანგარიშო პერიოდში შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ქრილში პროგრამის შეფასება განხორციელდა სპეციალურად ამ მიზნისთვის შერჩეული აკადემიური პერსონალის მიერ, ასევე, ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. მიღებული შედეგების გათვალისწინება მოხდა თვითშეფასების ჯგუფის თანხმობით. ერთ-ერთი ცვლილება რაც მოცემულ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა უკავშირდება სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც უნივერსიტეტში მანამდე არ არსებობდა და სწორედ, მოცემულ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა მისი დანერგვა და პროცესების შესაბამისად დაგეგმვა.

როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, მოცემულ პროგრამას აკრედიტაციის ვადა ამოწურა 2022 წლის 18 მაისს. ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა, თუ რა გახდა მიზეზი იმისა, რომ ვერ მოხერხდა პროგრამის განხორციელების უწყვეტობის შენარჩუნება. ინსტიტუციის მხრიდან აღნიშნულის მიზეზად დასახელდა ის, რომ კლასტერული აკრედიტაციის პროცესით განპირობებული ცვლილებების გამო პროგრამის რეაკრედიტაციისთვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება დაგვიანდა, რამაც განაპირობა აკრედიტაციის ვადის ამოწურვა. აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს შეუჩერდათ სტატუსი იმ პირობით, რომ პროგრამის რეაკრედიტაციის შემდეგ აღუდგებათ აქტიური სტატუსი. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ რეკომენდირებულია შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფმა აქტიურად აწარმოოს პროგრამის ვადების მონიტორინგი, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადების კუთხით, რათა პროგრამაზე სწავლების

უწყვეტობა იქნას შენარჩუნებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სადოქტორო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობების მექანიზმები;
- ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურის მიერ განხორციელებული შეფასებები;
- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების დოკუმენტი;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფმა აქტიურად აწარმოოს პროგრამის ვადების მონიტორინგი, შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადების კუთხით, რათა პროგრამაზე სწავლების უწყვეტობა იქნას შენარჩუნებული.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, სტუდენტთა მიერ სასწავლო პროგრამის შეფასების ინსტრუმენტის პრაქტიკაში დანერგვა მიუხედავად მათი რაოდენობისა.
- სასურველია, ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ბოლო ორი ეტაპის „შეამოწმე, განავითარე“ ეფექტურად და აქტიურად განხორციელდეს.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

როგორც წარმოდგენილ დოკუმენტაციაშია მითითებული პროგრამა მუდმივად იყენებს გარე ხარისხის შეფასების მექანიზმებს და, საჭიროების შემთხვევაში, ახორციელებს ცვლილებებს. თვითშეფასების დოკუმენტში საუბარია, რომ გარდა დამსაქმებლებისა, ინსტიტუცია პროცესში ასევე უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების ჩართულობას. სასურველ ცვლილებას თავდაპირველად განიხილავს ფაკულტეტის ხარისხის სამსახური, შემდეგ უნივერსიტეტის ხარისხის სამსახური და ამის საპასუხოდ წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად. პროგრამის თვითშეფასების ჯგუფი განმარტავს, რომ აკრედიტაციის და ინსტიტუციური ავტორიზაციის პროცესი, ასევე წამროადგენს გარე ხარისხის მექანიზმებს, რომელსაც მოცემული პროგრამის შემუშავების და განხორციელების ეტაპზე გამოიყენებენ.

ექსპერტთა ჯგუფი შეეცადა ინტერვიუების დროს გადაემოწმებინა აღნიშნული. კურსდამთავრებულებთან ინტერვიუმ დაადასტურა, რომ ისინი მუდმივად არიან ჩართული პროგრამის განხორციელების ეტაპზე. რაც შეეხება აკრედიტაციის და ავტორიზაციის პროცესებს, ინსტიტუციამ მეტწილად შეასრულა ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც აღნიშნული პროგრამის აკრედიტაციის დროს მიიღო 2018 წელს. თუმცა რჩება რამდენიმე რჩევა/რეკომენდაცია, რომლის გათვალისწინებაც აუცილებელია. მაგალითად, ამავე პროგრამის ბოლო აკრედიტაციის პროცესში ექსპერტებისგან გაიცა რეკომენდაცია სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებისთვის საჭირო დაფინანსების მიღების/გაცემის პროცედურების უნიფიცირებასთან დაკავშირებით, რომელიც ბოლომდე არც ახლაც გათვალისწინებული.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- პროგრამის 2018 წლის აკრედიტაციის დასკვნა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, პროგრამის აკრედიტაციის დროს მიღებული რჩევებისა და რეკომენდაციების გათვალისწინება, მათი განმავითარებელი ფუნქციიდან

გამომდინარე.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გოთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <p>× შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</p> <p><input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან</p>

<p>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</p>
<p>პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>მოცემულ საანგარიშო პერიოდში პროგრამის თვითშეფასების ჯგუფის ინიციატივით მოწვეულმა დამოუკიდებელმა ექსპერტმა განხორციელა პროგრამის გარე შეფასება. ექსპერტის დასკვნაში განსაკუთრებული პრობლემები არ იკვეთება და მთლიანობაში დადებითად არის შეფასებული პროგრამის მუშაობა. ყურადსაღებია ერთი გარემოება - გარე შეფასება განხორციელდა 2022 წლის მარტში, რამდენიმე თვით ადრე ვიდრე ინსტიტუცია წარმოადგენდა თვითშეფასებას, საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ გაცილებით ეფექტური იქნება, თუ მსგავსი შეფასება განხორციელდება რამდენჯერმე და არა საანგარიშო პერიოდის ბოლოს, არამედ გარკვეული დროით ადრე, რომ, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების ასახვა მოხდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქმნება შთაბეჭდილება, რომ აღნიშნული მექანიზმი</p>

ფორმალურად მუშაობს.

რადგან თვითშეფასების დოკუმენტში არ არის საუბარი უცხოურ და ქართულ ანალოგებთან მოცემული პროგრამის დადარების კუთხით, ექსპერტთა ჯგუფი დაინტერესდა რა გახდა ამის მიზეზი. როგორც დაწესებულების წარმომადგენლები აღნიშნავენ, პროგრამა არის იმდენად უნიკალური (მიმართულია რა მხოლოდ გამოყენებითი მათემატიკისკენ), რომ მათ გაუჭირდათ ქვეყნის დონეზე, ასევე უცხოური ანალოგიების მოძებნა და შედარება. ექსპერტთა ჯგუფი დაწესებულებას აძლევს რეკომენდაციას, რომ გამოიყენოს უნივერსიტეტის რესურსი საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით და მოიძიოს უცხოური ანალოგი, რომელიც დიდი ალბათობით არსებობს.

პროგრამის სამუშაო ჯგუფის განმარტებით, სტუდენტების მიერ სასწავლო კურსების შეფასება ჯერ არ განხორციელებულა. ექსპერტთა ჯგუფმა იგივე კითხვით მიმართა სტუდენტებს, რომლებსაც უჭირთ გაიხსენონ ბოლო სასწავლო სემესტრში მსგავსი შეფასება. ინსტიტუციის წარმომადგენლები განმარტავენ, რომ მომავალი სემესტრიდან დაიწყებენ სტუდენტების მიერ მოცემული პროგრამის სასწავლო კურსების შეფასებას. ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ აუცილებელია სტუდენტთა გამოკითხვები ხორციელდებოდეს ყოველი სემესტრის ბოლოს, რათა მათ მიეცეთ საშუალება შეაფასონ როგორც ცალკეული სასწავლო კურსები, ასევე მთლიანად პროგრამა.

მოცემულ საანგარიშო პერიოდში პროგრამაში განხორციელდა რამდენიმე ცვლილება, კერძოდ, არჩევითი სასწავლო კურსების რაოდენობა გაიზარდა, მიღების წინაპირობად განისაზღვრა ინგლისური ენის გამოცდა, კონკრეტულმა სასწავლო კურსებმა თემატიკის დონეზე განიცადა ცვლილება და სხვა. ყველა ამ ცვლილების ინიცირება განხორციელდა პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალის მიერ, შემდეგ წარედგინა ფაკულტეტის და უნივერსიტეტის ხარისხის სამსახურს, საბოლოოდ კი აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შეფასებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- გარე ხარისხის შეფასების ანგარიში;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;

<ul style="list-style-type: none"> • უნივერსიტეტის ვებ-გვერდი.
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> • რეკომენდებულია, პროგრამის განხორციელების ეტაპზე ხდებოდეს სტუდენტების მიერ კონკრეტული სასწავლო კურსების შეფასება ყოველ სემესტრში, ასევე, პროგრამის შეფასება და აღნიშნული შედეგების გათვალისწინება. • რეკომენდებულია, უცხოური ანალოგების მოძიება და პროგრამის დადარება, მიუხედავად მისი უნიკალურობისა.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> • სასურველია, პროგრამის გარე ექსპერტის შეფასება ხორციელდებოდეს წინასწარ დაგეგმილი პერიოდულობით, საანგარიშო ვადის ამოწურვამდე, რათა ცვლილების განხორციელებისთვის რჩებოდეს ლოგიკური ვადა.
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
<p>შეფასება</p> <p>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

-

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:

სსიპ-სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:

„გამოყენებითი მათემატიკის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 52

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	X			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	X			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	X			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა		X		
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები		X		

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა დიანა მჭედლიშვილი



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ის

სახელი, გვარი, ხელმოწერა გიორგი დალაქიშვილი

გ. დალაქიშვილი

სახელი, გვარი, ხელმოწერა გიგა ხოსიტაშვილი



სახელი, გვარი, ხელმოწერა ნინო ჯახველაძე

